კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.procurement.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 22 დეკემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახალმწიფო შესყიდვების სააგენტო

www.procurement.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
50.00%
69.00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0.00%
0.00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80.00%
38.50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
25.00%
24.83%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
23.81%
47.60%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15.38%
47.50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
75.00%
26.83%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28.57%
15.50%
0.00%
50.00%
100.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება თავმჯდომარის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

მართალია, ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „თავმჯდომარე“, მაგრამ მოცემული ქვე-განყოფილება იუწყება, რომ მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები:



- სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად, თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „მოადგილე“ , სადაც განთავსდება მოადგილის შესახებ ზემოთ აღნიშნული შესაბამისი სახის ინფორმაცია.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოადგილის პოზიცია დაკავებული არ არის, აღნიშნულ შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „მოადგილე“ სასურველია მოყვანილ იქნეს შემდეგი სახის ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის“, ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან *მისთ.*

2. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კონტაქტი“ მართალია მოცემულია ცხელი ხაზის ნომერი, მაგრამ არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი:



3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს მთავრობის დასახელება და ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული:

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს მიზნების,ძირითადი ფუნქციების და საქმიანობის საგნის აღწერა; მართალია, არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ფუნქციები“, თუმცა მოცემული ქვე-განყოფილება იუწყება, რომ მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები:

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

მართალია, ვებ-გვერდზე არსებობს ქვე-განყოფილება, სათაურად „სტრუქტურა“ თუმცა მოცემული ქვე-განყოფილება იუწყება, რომ მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები:

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები,

სააგენტოს საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები (მათ შორის, სააგენტოს მიერ შედგენილი ყოველწლიური ანგარიში, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სააგენტოსთან არსებულ სამეთვალყურეო საბჭოსთან განხილვის შემდეგ ეგზავნება საქართველოს მთავრობას და ქვეყნდება საჯაროდ), პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე მართალია მოიძიება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, რომელიც შესაძლებელია შეფასდეს, როგორც ერთ-ერთი სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალა, თუმცა სასურველია, მოიძიებოდეს აგრეთვე, სააგენტოს მიერ მომზადებული სპეციალური სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმები, სპეციალური პერიოდული ბიულეტინები:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები;

- არ მოიძიება ცნობები სააგენტოს თავმჯდოამარის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ:



9. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სააგენტოს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „წლიური ანგარიში“ იუწყება, რომ მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები:

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სააგენტოს საქმიანობის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები.

10. სააგენტოს შესახებ ბიზნეს-ანალიტიკური სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია ვებ-გევრდზე არსებულ განყოფილებაში (ბანერი) სათაურად „ბიზნეს-ანალიტიკა“:



სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა, როგორც ზემოაღნიშნული სახის სტატისტიკური მონაცემები, აგრეთვე, სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული სხვა სახის ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

12. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამართლებრივი აქტები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო აქტი“ განთავსებული შემდეგი სამართლებრივი აქტები მოცემულია ძვლი მდგომარეობით:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი:



სასურველია არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამართლებრივი აქტები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონქვემდებარე აქტები“ განთავსდეს, აგრეთვე, სააგენტოს საქმიანობის

(მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები; სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სააგენტოს საშტატო ნუსხა და რეგლამენტი.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სააგენტოს დებულება, რეგლამენტი და შინაგანაწესი (რომლებიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saxelmwifoshesyidvebi_sajaroinfo.pdf*);

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

17. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება (ბანერი) სათაურად „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა“, სადაც სხვა დაწესებულებების შესყიდვების შესახებ ინფორმაციასთან ერთად მოიძიება სააგენტოს შესყიდვების შესახებ ინფორმაციაც, თუმცა სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „სააგენტოს შესყიდვები“, სადაც განთავსდებოდა უშუალოდ სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია:

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

18. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა აღნიშნული ქვე-განყოფილება იუწყება, რომ მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები:

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

19. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტლის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/saxelmwifoshesyidvebi_budget0001.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და*

სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saxelmwifoshesyidvebi_xelfasi.pdf

აგრეთვე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოთხოვნილ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და 40-ე მუხლების საფუძველზე, ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა ხალფასებსა და პრემიებზე 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasi_premiashesyidvebissaagentosaia.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა..
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
64.71%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
75.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
66.67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
73.68%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16.67%
10. ელექტრონული სერვისები
66.67%
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50.00%
0
0.2
0.4
0.6
0.8

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე ატვირთულია დოკუმენტი, სადაც დიაგრამების მეშვეობით გამოსახულია სტატისტიკური მონაცემები:



ტენდერის გამოცხად. თარიღი	სავ. ღირებ.	ფაქტ. ფასი	ეკონომია	%
12.2010	27,363,739	24,342,657.10	3,021,081.90	11.0
1.2011	102,850,171	88,295,627.28	14,554,543.72	14.2
2.2011	147,335,818	123,833,582.85	22,949,235.15	15.6
3.2011	200,383,583	166,991,492.12	31,469,115.88	15.7
4.2011	113,532,784	91,270,014.95	22,237,269.05	19.6
5.2011	119,974,406	101,493,074.00	18,469,532.00	15.4
6.2011	96,693,293	82,302,071.00	14,391,222.00	14.9
7.2011	91,398,257	80,925,037.00	10,472,220.00	11.5
8.2011	144,569,212	121,488,208.00	23,081,004.00	16.0
9.2011	62,603,563	55,670,104.00	6,933,459.00	11.1
10.2011	99,001,851	91,181,406.00	7,820,445.00	7.9
11.2011	37,168,676	34,232,399.00	2,936,277.00	7.9
12.2011	2,050,297	1,881,802.00	168,495.00	8.2
	1,244,925,650	**1,063,908,475.30**	**178,503,899.70**	

ეს ნამდვილად მისასალმებელი და მნიშვნელოვანი ფაქტია, თუმცა საკმაოდ მარტივია დიაგრამების გადმოტანა ვებ-გვერდზევე, რომელიც იქნება HTML ფორმატში, ხოლო იქვე მომხმარებელს საშუალება ექნება, რომ გადმოიწეროს დოკუმენტის PDF ან Excell ვერსია;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დამცავი კოდი:



წინააღმდეგ შემთხვევაში სერვერზე შეიძლება მოხდეს დიდი რაოდენობით „Spam“ შეტყობინებების გაგზავნა, რამაც შესაძლებელია შეანელოს სერვერის გამართული ფუნქციონირება;

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში ჩანს ქართულ ენაზე ატვირთული სიახლეები და ბანერები:

იმ შემთხვევაში თუ სიახლეების შესაბამის უცხოენოვანი ვერსია არ არის გამზადებული, სჯობს ისინი საერთოდ არ გამოჩნდეს ვებ-გვერდის ინგლისურენოვან გვერდზე;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში შეიმჩნევა მცირე ხარვეზები. მაგალითად ერთ-ერთ მთავარ ბანერზე დაჭერით ვებ-გვერდი გადადის ინგლისურიდან ქართულენოვან ვერსიაზე. სასურველია ასეთი მცირე ხარვეზები გასწორდეს, რათა არ დააბნიოს რესურსის სტუმრები და მომხმარებლები:

მცირე ხარვზე დაფიქსირდა ვებ-გვერდის ნავიგაციაში. ზედა-მენიუ წარმოდგენილია მომრგვალებული ფორმით:

მაგ. განყოფილება ბიზნეს-ანალიტიკის არჩევის შემდეგ, „მთავარი“-ის კატეგორიაზე „მაუსის“ გადატარების შემდეგ კი, ნავიგაციის სიმრგვალე იკარგება, ის ხდება კუთხოვანი:

ეს საკმაოდ მცირე და უმნიშვნელო ხარვეზია, თუმცა ექვემდებარება გამოსწორებას;

- **ონლაინ სერვისები**

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა საკმაოდ დახვეწილი და პრაქტიკულია, თუმცა მასში მაინც არის მცირე ხარვეზები და გაუთვალისწინებლობები. მაგალითად, თუ მომხმარებელს უნდა თავის მეგობარს ან პარტნიორ კომპანიას ურჩიოს კონკრეტულად, რომელიმე ტენდერი და განცხადება, იგი ამას მარტივად ვერ მოახერხებს, რადგან ვებ-გვერდზე ნავიგაციის დროს, ვებ-გვერდის მთავარი URL ანუ მთლიანი მისამართი უცვლელი რჩება.

მთავარი გვერდის URL:



რომელიმე განცხადების არჩევის შემდეგ გენერირებული URL:



როგორც ხედავთ, ორივე URL ერთდაიგივეა.

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტომ აღმოფხვრა აღნიშნული პრობლემა (ტენდერის ბმული):



თუმცა, ეს არ არის საკმარისი, სასურველია ინფორმაციის გენერირება მოხდეს, ისე რომ ყველა მოქმედება აღიბეჭდოს URL-ში. ამ დეტალის გამოსწორების შემდეგ, ყველა განცხადება გახდება მეტად მოქნილი გაზიარების და გავრცელების კუთხით, **ასევე მეტად მოძიებადი იქნება საძიებო სისტემებში**;

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა არ ფუნქციონირებს ბრაუზერ ოპერაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მომხმარებლების უმეტესობა საქართველოში ბრაუზერ ოპერას იყენებს, მაშინ ნათელი გახდება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის აღნიშნულ ბრაუზერში გამართულად მუშაობის მნიშვნელობა.

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე შეიმჩნევა პროგრამული წუნი უსაფრთხოების კუთხით. ჩვენს სპეციალურად არ ვწერთ დეტალურად ამ ხარვეზის შესახებ, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით აღნიშნული საფრთხის სრულ ანალიზს.